

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

თჰუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

(2013 წლის 13 აპრილის N1 სხდომის ოქმი)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის ორგანოს.
2. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 25-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის თანახმად, თჰუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა. შ.) დანერგვის გზითა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას;
3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, დებულებით და წინამდებარე დებულებით.
4. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი არეგულირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციას. სამსახური თავის საქმიანობაში ითვალისწინებს ბოლონის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს ეგიდით, შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო დოკუმენტებს.
5. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე.
6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 2. მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება;

2. აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან კონსულტაციები და აქტიური თანამშრომლობა საკრედიტო სისტემასთან (ECTS) დაკავშირებით, რაც სტუდენტთა მობილობის ხელშემწყობი ერთ-ერთი საშუალება და ბოლონის პროცესის ერთ-ერთი მოთხოვნაა;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო კურიკულუმების სისტემატურ მონიტორინგს, მოდიფიცირებას, როგორც საკუთარი ძალებით, ისე მოწვეული ექსპერტების დახმარებით. სასწავლო პროგრამების მომზადებისა და შეფასების პროცესში იყენებს განათლების კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოებს, დარგობრივ სტანდარტებს, აკრედიტაციის სტანდარტებს და სხვ. , აგრეთვე თავის საქმიანობაში ეყრდნობა ტრანსნაციონალური ევროპული შეფასების პროექტის (Transnational European Evaluation Project I, II) მასალებს; ევროპაში საგანმანათლებლო სტრუქტურების რეგულაციების პროექტის საბოლოო შედეგებს (Tuning Educational Structures in Europe, Universities Contribution to the Bologna Process და სხვ.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული სილაბუსების ანალიზსა და შეფასებას; მუდმივად ზრუნავს მათ განახლებაზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, უახლესი ლიტერატურის მოძიებასა და გამოყენებაზე სწავლების პროცესში;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო უწყისების მუდმივ მონიტორინგს და სტუდენტთა ქულობრივი შეფასებების სტატისტიკურ ანალიზს, ხოლო მის საფუძველზე შეიმუშავებს სახელმძღვანელო რეკომენდაციებს;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს დიპლომის დანართის ტიპური ფორმის დაცვის კონტროლს, კონსულტაციებს აძლევს ფაკულტეტების შესაბამის პერსონალს ამ ფორმების შევსების სპეციფიკის თაობაზე;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საქართველოს ფარგლებს შიგნით ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნას, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმების გაფორმებას, რომელთა საფუძველზეც ხდება ერთმანეთის კრედიტების აღიარება;
8. ბოლონის პროცესის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ხელს უწყობს სტუდენტთა მობილობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. შეიმუშავებს იმ მექანიზმებსა და წესებს, რომლებითაც ხდება სტუდენტების მიერ საზღვარგარეთ აღებული კრედიტების აღიარება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად სწავლობს თჰუ-ს მატერიალურ ტექნიკურ ბაზას (კომპიუტერების, დანადგარების, უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების მდგომარეობას, ბიბლიოთეკის წიგნად და ციფრულ ფონდს და ა. შ.), ხოლო ანალიზის საფუძველზე წარუდგენს რეკომენდაციებს არსებული სასწავლო საუნივერსიტეტო ბაზის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
10. სემესტრის ბოლოს ახდენს როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გამოკითხვას, ხოლო შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, სწავლების ხარისხის ამაღლების, სასწავლო პროგრამების სრულყოფა-განვითარებისათვის;

11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს თვითშეფასების პროცესის ინდიკატორებს, წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად და იყენებს თვითშეფასების პროცესში;

12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს თქუ აკადემიური პერსონალის თვითშეფასების პროცესს, რაც ავტორიზაციის/აკრედიტაციის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს;

13. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქვეყნებს თავისი მუშაობის დეტალურ გეგმას, ხოლო სემესტრის ბოლოს ასაჯაროებს შესრულებული სამუშაოს შედეგებს;

14. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად უნდა განაახლოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საკუთარი გვერდი, შეავსოს იგი ახალი ინფორმაციით; უნდა განთავსდეს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვითარების ანალიზი და რეკომენდაციები პრობლემათა გადასაჭრელად.

მუხლი 3. თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა: უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოთა ქსელი (CEE Network), აკრედიტაციის ევროპული კონსორციუმი (ECA), უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოები და სხვ.;

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად მაქსიმალურად იყენებს ადგილობრივ რესურსებს, ამყარებს მჭიდრო კონტაქტებს საქართველოში განთავსებულ სწავლების ხარისხზე მომუშავე ორგანიზაციებთან; აგრეთვე ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც დაეხმარებიან თქუ-ს უცხოელი ექსპერტების მოწვევაში, საერთაშორისო შეხვედრების, კონფერენციების, სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებაში, რაც სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი წინაპირობაა;

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან“.

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ავტორიზაციის/აკრედიტაციის კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, ხოლო შემდეგ ამზადებს ამ პროცესებისათვის აკადემიურ პერსონალს. შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომლის საფუძველზეც ემზადება ავტორიზაცია/აკრედიტაციის წარმატებით გასავლელად.

მუხლი 4. რეკომენდაციათა თეორიული საფუძვლები

1. თპუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობისას ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის წესდებას, დებულებას, მისიას და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმებს, ევროპული საგანმანათლებლო სივრცისათვის ისეთ საკვანძო დოკუმენტებს, როგორცაა: უნივერსიტეტების დიდი ქარტია (ბოლონია, 1988 წლის 18 სექტემბერი), ლისაბონის კონვენცია (1997 წ.), სორბონის დეკლარაცია (1998 წლის 25 მაისი), ბოლონიის დეკლარაცია (1999 წლის 19 ივნისი), სტუდენტების გოტებორგის დეკლარაცია (2001 წლის 25 მარტი), პრადის კომუნიკე (2001 წლის 19 მაისი), ბერგენის კომუნიკე (2005 წლის 19-20 მაისი), გრაციის დეკლარაცია (2003 წელი), ლონდონის კომუნიკე (2007 წლის 18 მაისი) და სხვ.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული და საერთაშორისო სააგენტოების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, განათლების ექსპერტთა, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შენიშვნები, მოსაზრებები და რეკომენდაციები.

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს თპუ წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭოს წარდგინებით, 4 წლის ვადით;

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე;

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი

1. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად და სასწავლო პროცესის მიმდინარე მართვის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ინიშნება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, რომელიც თავის მხრივ კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორის/კოორდინატორების მუშაობას;

2. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, თანამდებობაზე ინიშნება რექტორის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინებით; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ფუნქციებს, სასწავლო პროცესის წარმართვის მიმართულებით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარე მართვა და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ბ) თპუ-ს მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო აკადემიური და პროფესიული პროგრამების შესრულების მონიტორინგი;

გ) მეცადინეობათა ცხრილებისა და სასწავლო გეგმების შედგენის კოორდინაცია;

დ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესში მონაწილეობა;

ე) სტუდენტთა გარე და შიდა მობილობის პროცესებში მონაწილეობა.

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინებით, თჰუ რექტორი ნიშნავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტს/სპეციალისტებს, რომელთა სამუშაო აღწერილობები დგინდება სამსახურის უფროსის მიერ.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

1. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული წინადადების საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება თჰუ წესდებასა და დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.